ხელშეკრულება **№**102

ქ. ყვარელი 06.06.2022 წელი

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია შემდგომში "შემსყიდველად" წოდებული, წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის, გივი ზაუტაშვილის სახით ერთის მხრივ და მეორეს მხრივ ფ.პ მურთაზი ნიკოლაშვილის სახით შემდგომში ,,მიმწოდებლად" წოდებული, წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე თანხმდებიან შემდეგზე.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტები, მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი - ხელშეკრულება იდება წერილობითი ფორმით და უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: „გ" ქვეპუნქტი - გამარტივებული შესყიდვის სამართლებრივ საფუძველს – კანონის შესაბამის ნორმას;

1.ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1.,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში ,,ხელშეკრულება"),,სახელმწიფოშესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული შეთანხმება, რომელიც ხელმოწერილია მხარეების მიერ მასზედ თანდართული ყველა დოკუმენტით, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მითითებული; 1.2. ,,შემსყიდველი" ნიშნავსორგანიზაციას,რომელიც ახორციელებს შესყიდვას; 1.3.,,მიმწოდებელი"ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც ,,შემსყიდველთან" გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ; 1.4.,,ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს ,,შემსყიდველმა" ,,მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის; 1.5. დღე, კვირა, თვე ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული;

2. ხელშეკრულების საგანი

2.1.ხელშეკრულების საგანია სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ ნაპირსამაგრი სამუშაოებისთვის მიწის სათხრელი მანქანის დაქირავება ოპერატორთან ერთად. (CPV45520000-მიწის სათხრელი მოწყობილობებისა და მათი ოპერატორების დაქირავება) (**SMP220001601)**
2.2 ხელშეკურლებას ახლავს 2022 წლის 30 მაისის დეფექტური აქტი N1 ,რომელშიც განსაზღვრულია შესასრულებელი სამუშაოების მოცულობები.

3 .საქონლის მიწოდების წესი და ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 5500 (ხუთი ათას ხუთასი) ლარს(საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით);
3.2 სამუშაოს შესრულების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) დღე.
3.3 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს მუნიციპალიტეტის მერის მიერ შექმნილი ისნპექტირების ჯგუფი.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები
4.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში, დოკუმენტაციის საფუძველზე; მიღება- ჩაბარების აქტის საფუძველზე. გაფორმებული აქტის წარმოდგენიდან 10 დღის ვადაში.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 ,,შემსყიდველს" უფლება აქვს: - ,,მიმწოდებლისაგან'' მოითხოვოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობის დაცვა; - ნებისმიერ დროს განახორციელოს ,,მიმწოდებლის" მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

5.2 ,,შემსყიდველი“ ვალდებულია: - მოახდინოს ანგარიშსწორება ,,მიმწოდებელთან'' ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად

5.3 ,,მიმწოდებელს“ უფლება აქვს: -მოსთხოვოს ,,შემსყიდველს“

6. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

6.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთ შეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;შესაბამისად;

7. მხარეთა პასუხისმგებლობა

7.1ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველ დაგვიანებული დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,02 % ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის. თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0,06%-ს შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.
7.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულების შესრულებისაგან.

8.ხელშეკრულების მოქმედების ვადა
8.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2022 წლის 11 ივლისამდე.

9. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი	,, მომწოდებელი”
ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია	ფ.პ მურთაზი ნიკოლაშვილი
მის: ქ ყვარელი კუდიგორის 1	მის: ქ გურჯაანი
ს.კ.241578574	ს. კ. 13001043824
	ბანკის კოდი: BAGAGE22
	ა/ნ GE10BG0000000671813900

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერი:

გ.ზაუტაშვილი	მ. ნიკოლაშვილი

Murtazi Nikolashvili 13001043824

Digitally signed by Murtazi Nikolashvili
Date: 2022.06.06 17:08:31